

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ორიენტირებულია საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე. მისი უპირველესი მისიაა:

- ყველა დაინტერესებულ პირს ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად შესთავაზოს მაღალი ხარისხის განათლება.
- აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალ-კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.
- მოსახლეობის კეთილდღეობის, ეკონომიკური ძლიერების, თავდაცვისუნარიანობის, დემოკრატიული პრინციპების დაფუძნებისა და სულიერების ამაღლების მიზნით განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ, სოციალურ, სამართალმცოდნეობის, მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებებში, საინჟინრო-ტექნოლოგიურ, ბიზნესის, ჯანდაცვის და სოფლის მეურნეობის დარგებში. ხელი შეუწყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.